ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
(საკონსულტაციო მომსახურება – ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა)

საქართველო
რეგიონული განვითარების პროექტი – P126033

ხელშეკრულების სახელწოდება: საკონსულტაციო მომსახურება განსახლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე საჩივრების შეფასებისათვის თელავის, ყვარლისა და დართლოს ქვე–პროექტების ფარგლებში

ნომერი: IBRD/RDP/CS/IC/03-2014

საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივი თანადაფინანსებით ხორციელდება რეგიონული განვითარების პროექტი კახეთის რეგიონში. პროექტის ღირებულებაა 75 მლნ აშშ დოლარი; ხანგრძლივობა - 2012-2016 წწ. აღნიშნული პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება კახეთის რეგიონში, ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განვითარების მხარდაჭერის მიზნით (http://www.mdf-kakheti.com/), (http://www.kakheti.travel/).

საკონსულტაციო მომსახურების ძირითადი მიზანია თელავის, ყვარელის და დართლოს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წარმოშობილი საჩივრებისა და სარჩელების შეფასება, და მათ მოსაგვარებლად შემდგომი რეაგირების განხორციელების განსაზღვრა. ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს შემდეგ ძირითად საქმიანობებს:

- მსოფლიო ბანკის პოლიტიკის განსაზღვრა, არანებაყოფლობითი განსახლების თაობაზე OP 4.12 და მათი შეფასება კონკრეტულ შემთხვევებისთვის;
- შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის განხილვა და შეფასება, თელავისა და ყვარლის ქვე–პროექტების საჩივრებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა; შესაბამისი პირების ყველა საჩივრის/სარჩელის გაანალიზება და განსახლების სამოქმედო გეგმის მიხედვით განხილვა;
- დართლოს ქვე-პროეტის შემთხვევაში განხილვისთვის – შეხვდეს შესაბამის პირებთან შეხვედრების გამართვა, მათი საჩივრების განხილვა და საჩივრების არარსებობა/არსებობის დოკუმენტურად დაფიქსირება გასახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პირის გამოკითხვის შემდეგ;
- შემდგომი რეაგირების განსაზღვრა საჭროების შემთხვევაში საჩივრების/სარჩელების მოსაგვარებლად;
- გეგმის შემუშავება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის, შესრულებისას განსაზღვრული ყველა საჩივრების/სარჩელების დაკმაყოფილებისთვის, თითოეული შემთხვევისთვის, შესაბამისი საკომპენსაციო თანხის აღნიშვნით;
- შედეგებისა და რეკომენდაციების გაერთიანება ანგარიშში.

დანიშნულების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 30 დღეს, კონტრაქტის ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამჟამად იწვევს შესაფერის ინდივიდუალურ კონსულტანტებს („კონსულტანტები“), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოთხსენებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე. შერჩევის კრიტერიუმებია:

- სულ მცირე, 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება სოციოლოგიის, განვითარების დაგეგმვის ან სხვა შესაბამის სფეროში;
- გამოცდილება და ცოდნა სოციალური უსაფრთხოების ან არანებაყოფლობითი განსახლების სფეროში (როგორიცაა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტი (RPF) და განსახლების

სამოქმედო გეგმა (RAP);

- შესაბამისი გამოცდილება საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტებთან და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად;
- შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა და კომუნიკაციის უნარი სახელმწიფო სააგენტოებთან, თემებთან, დონორ სააგენტოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

დაინტერესებული კონსულტანტების ყურადღება უნდა გამახვილდეს მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპების 1.9 პუნქტს: *კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება, IBRD–ის სესხების და IDA–ის კრედიტების და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ - იანვარი 2011.* ("კონსულტანტის სახელმძღვანელო პრინციპები"), რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესების კონფლიქტთან დაკავშირებით.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის (IC) შერჩევის მეთოდით, რომელიც გათვალისწინებულია დოკუმენტის – *სახელმძღვანელო პრინციპები: კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება, IBRD–ის სესხების და IDA–ის კრედიტების და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ – 2011 წ. იანვარი* – II ნაწილის შესაბამისად.

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სამუშაო საათებში, 10:00–დან 18:00 საათამდე, MDF–ის შესყიდვების განყოფილებაში, ტელეფონი: +99532 2437001, შიდა ნომერი 409, ქ–ნი მარი ჯანგულაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი.
ინტერესის გამოხატვა, ბიოგრაფიასთან (CV) ერთად, უნდა წარმოადგინოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე, არაუგვიანეს 2014 წ. 05 მაისის 18:00 საათისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი გიორგი სომხიშვილი, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზირი #150, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: +99532 2437001 ან /02/03/04
ფაქსი: +99532 2437077;
ელ–ფოსტა: procurement@mdf.org.ge